მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 49

ქ. თბილისი

27 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N152 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ გურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ზოგადი სფეროს ინდივიდუალური აუდიტორის ილია ხოსიტაშვილის სახით (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატი №N6/049, ამავე საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზია აუდიტორულ საქმიანობაზე №N026, ძირითადი ფონდების გადაფასების მოწმობა N001) , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი აუდიტორის ილია ხოსიტაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (CPV:79212000) საიჯარო ფართის ქირის ოდენობის დადგენისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 100,00 (ასი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი, ვარკეთილი, ზ/პლატო.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- საიჯარო ფართის ქირის ოდენობის დადგენა;

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის №152 საჯარო სკოლის დირექტორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ თბილისის №152 საჯარო სკოლა ს/კ 208142712 მის. : ქ. თბილისი, ვარკეთილი, ზ/პლატო, ტელ: 276 31 44, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა GE15LB0121129254237000 დირექტორი (ხელმოწერა)	**მიმწოდებელი:** ი/მ ილია ხოსიტაშვილი, ს/კ 31001008573 მის.: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, ტელ.: 593 984464, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა GE77LB0112175904386000, აუდიტორი (ხელმოწერა)

მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

27. 10. 2016წ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ი/მ ილია ხოსიტაშვილი („მიმწოდებელი“) აუდიტორის ილია ხოსიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ თბილისის №152 საჯარო სკოლის დირექტორი თამარ გურაშვილის სახით („მიმღები“), ვადგენთ აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ნამდვილად მიაწოდა ხელშეკრულების შესაბამისად 100 ლარის ღირებულების აუდიტორული მომსახურება.

„მიმწოდებელი“
ი/მ ილია ხოსიტაშვილი
აუდიტორი

„მიმღები“

სსიპ ქალაქ თბილისის
№152 საჯარო სკოლის
დირექტორი

სსიპ ქალაქ თბილისის N152 საჯარო სკოლის დირექტორისა და შესყიდვების კოორდინატორის დადასტურება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

27 ოქტომბერი 2016 წელი

სსიპ ქალაქ თბილისის N152 საჯარო სკოლის დირექტორი თამარ გურაშვილი და შესყიდვების კოორდინატორი მიმოზა გამცემლიძე ვადასტურებთ, რომ ჩვენსა და ზოგადი სფეროს ინდივიდუალურ აუდიტორს ილია ხოსიტაშვილს (ს/კ 31001008573) შორის, რომელთანაც გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება N49, არ არსებობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

სსიპ ქალაქ თბილისის N152 საჯარო სკოლის

დირექტორი: /თამარ გურაშვილი/

კოორდინატორი: /მიმოზა გამცემლიძე/

PUBLIC SCHOOL #152 * 208142712

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 1617

თარიღი: 2016 წლის 07 11, ორშაბათი

GEL	
GEL	
100.00	
თანხა სიტყვიერად	
ასი GEL და 00	

გადამხდელის დასახელება: სსიპ ქალაქ თბილისის #152-ე საჯარო სკოლა

ანგარიში (დებეტი): GE15LB0121129254237000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: ილია ხოსიტაშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი:

ანგარიში (კრედიტი): GE77LB0112175904386000

მიმღების ბანკი: ქ.მცხეთა, სს "ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი

ბანკის კოდი: 220101415

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 07.11.2016

გადახდის დანიშნულება: აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (ს/კ 31001008573)

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK
ბესიკელიანის ინტერნეტ ბანკის ფილიალი

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან